



ლადო ასათიანი

შემდეგ გარდაიცვალა პოეტად ლადო ასათიანი. ლადო ასათიანი დაიბადა 1917 წელს ლეჩხუმში, მასწავლებლის ოჯახში. ცაგერის სას.სამ. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1938 წელს. სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1937 წელს. პირველსავე ლექსებში მან გამოამყვანა უტყუარი პოეტური ნიჭი. 1940 წელს ლადო ასათიანმა გამოსცა ლექსების წიგნი, სადაც თავმოყრილია 1940 წლამდე მის მიერ დაწერილი ყველანაირი საუკეთესო ლექსი. გარდა ლექსებისა მან დასწერა ორი პოემა: „კოლხიდა“ და „ბასიანის ბრძოლა“.

ლადო ასათიანის ლექსები გამსჭვალულია მძაფრი პოეტური მღელვარებით, ღრმა ლირიზმით და უშუალოდ. მისი ლექსების თემა ეხება ქართველი ხალხის გმირულ წარ-

სულსა და ღღევანდვლობას. ისინი მიმზიდველი პოეტური ფერადებით და ღრმა ემოციურობით მსახვევენ ჩვენი ხალხის უცვლელს ბილეს ზრახვებს. ლადო ასათიანმა თავის უკვე გამოქვეყნებული ლექსებით გვიჩვენა, რომ მისი სახით იზრდებოდა უარესად თავისებური და მაღალი გემოვნების მქონე ქართული სეტყვის ისტატი. მას ახასიათებდა მხატვრული მეტყველების დახვეწილობა, მშობლიური ბუნების კოლორიტის შეგრძობა და ინტიმურობა პოეტური თემების დამუშავებისას.

ლადო ასათიანის სახით ახალმა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ დაჰკარგა ორიგინალური პოეტი რომელიც შემოქმედებითი ძალა ჯერ კიდევ არ იყო სავსებით გამოვლენილი. მისი საუკეთესო პოეტური სტრიქონები მულამ იცოცხლებენ მისი-მეგობრებისა და მკითხველი საზოგადოების სსოვნაში.

გალაქტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალ. მაშაშვილი, სიმ. ჩიქოვანი, ალ. ქლთაელი, პ. ინგოროყვა, შ. აფხაიძე, ლეო ჭიაჩელი, ა. ზაწერელია, გერ. ქიქოძე, გ. ლეონიძე, დემანა შენგელაია, ლევ. ასათიანი, გრ. აბაშიძე, ლადო ავალიანი, ალ. საჯავაი, ი. მოსაშვილი, დ. ბენაშვილი, ხ. ვარდოშვილი, მ. პატარიძე.

„ლადო ასათიანის ლექსები“ საქართველოს საბჭოთა კავშირის გამომცემლობა, 1943 წ.